ალპები – ბუნების უზარმაზარი ლაბორატორია

მოამზადა მაია ბლიაძემ

ალპების გეოგრაფიული მდებარეობა

ალპები ერთ-ერთი უმაღლესი მთათა სისტემაა ევროპაში. იგი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან შუა დუნაის დაბლობამდეა გადაჭიმული.

ალპების მთათა სისტემის საერთო ფართობია დაახლოებით **207 000 კმ².**

მთების სიგრძე დაახლოებით **1200 კმ-ია, სიგანე 50-260 კმ.**

ალპების გეოგრაფიული მდებარეობა

ალპების გეოგრაფიული საზღვრების ფარგლებში მთლიანად ან ნაწილობრივ მდებარეობს

8 სახელმწიფოს ტერიტორია.

ეს სახელმწიფოებია:

1. საფრანგეთი,
2. მონაკო,
3. იტალია,
4. შვეიცარია,
5. ლიხტენშტეინი,
6. გერმანია,
7. ავსტრია
8. და სლოვენია.



მონბლანი და სხვა მწვერვალები

ალპების უმაღლესი მწვერვალია

მონ ბლანი,

რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან

4810 მეტრია.

მონბლანი ყინულისა და თოვლის სქელი ფენითაა დაფარული.

იგი საფრანგეთისა და იტალიის საზღვარზე მდებარეობს.

ასევე აღსანიშნავია მწვერვალები:

1. მონტე-როზა (4634 მ),
2. მატერჰორნი (4478 მ),
3. ვაისჰორნი (4506 მ),
4. იუნგფრაუ (4158 მ),
5. ალეჩჰორნი (4193 მ),
6. ფინსტერაარჰორნი (4274 მ).

კლიმატური პირობები

ალპური კლიმატი რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტისგან შედგება; ესენია: თოვლი, მზის ინტენსიური სინათლე, მთიანი რელიეფი და ქარი.

დასავლეთის ტენიანი ჰაერის მასების მოძრაობის გზაზე მდგარი ალპები ტენის მსხვილი კონდენსატორია. განსაკუთრებით ბევრი ნალექი - წელიწადში 1500-დან 3000 მმ-მდე - მოდის ჩრდილოეთ და დასავლეთ განაპირა ქედებზე. აქ ხშირია ნისლიანი და მოღრუბლული ამინდი.

შიდა ქედები, დახურული ხეობები და აუზები მნიშვნელოვნად ნაკლებ ნალექს (1000 მმ-ზე ნაკლები) იღებს.

ნალექების უდიდესი რაოდენობა მოდის 1500-2000 მ სიმაღლეზე, სადაც მდებარეობს მაქსიმალური ღრუბლიანობის ზონა. ამ ზონის ზემოთ ამინდი უფრო მშრალი და ნათელია.

კლიმატური პირობები

ალპების ფერდობებზე მკაფიოდაა გამოხატული სიმაღლებრივი სარტყლურობა, რაც გამოიხატება სამხრეთ მთისწინეთის თბილი ზომიერი და თუნდაც სუბტროპიკული კლიმატიდან მთების ზედა ნაწილების მკაცრ მაღალმთიან კლიმატზე გადასვლაში, სადაც ხშირია ყინვები, ქარბუქი, თოვლი, ასევე, ძლიერი გამყინვარება.

აქვე შეინიშნება განსხვავებები სხვადასხვა ექსპოზიციის ფერდობების, ჩაკეტილი ხეობებისა და აუზების კლიმატურ პირობებს შორის.

აქაური კლიმატი მკვეთრად კონტინენტურია და ზამთრის ტემპერატურის ინვერსიით და ნაკლები ნალექებით ხასიათდება.

კლიმატური პირობები

ალპებში ზამთარში დიდი რაოდენობით თოვლი მოდის. ზოგჯერ ის ისეთი რაოდენობითაა, რომ ალპური უღელტეხილები მიუწვდომელი ხდება და რკინიგზაზე და გზებზე მოძრაობა გარკვეული დროით ჩერდება.

გაზაფხულზე ბევრ რაიონში ჩნდება თოვლის ზვავები და ზვავსაშიშროება იზრდება ტყეების გადაჭარბებული გაჩეხის გამო.

კლიმატური პირობები

ალპებს ახასიათებს ადგილობრივი ქარები, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიონი, რომელიც წარმოიქმნება გარდამავალ სეზონებში ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე წნევის სხვაობის გამო.

ჩრდილოეთ ფერდობებზე ფიონი ჩნდება მშრალი და თბილი დაღმავალი ქარის სახით, რომელსაც მოაქვს თბილი და ნათელი ამინდი, აჩქარებს თოვლის დნობას და გაზაფხულის დაწყებას, შემოდგომაზე კი ხელს უწყობს მოსავლის დამწიფებას.

მაგრამ ზოგჯერ ფიონის შედეგები შეიძლება იყოს კატასტროფული, რადგან დიდი რაოდენობით თოვლის სწრაფი დნობა წყალდიდობას, მეწყერს და გზების დაზიანებას იწვევს.



მდინარეები

მდინარეები ალპებიდან სხვადასხვა მიმართულებით იქსაქსება მეზობელ ქვეყნებში.

ალპების ყინულები, თოვლი და მიმდინარე წყლები შუა ევროპის დიდ მდინარეთა უმრავლესობას კვებავს.

ალპების მთების ქედებიდან სათავეს იღებს ევროპის უდიდესი მდინარეები: რაინი, რონა, დუნაი, პო და მათი მრავალრიცხოვანი შენაკადები.

ტბები

ალპების წინამთების ტბები, განსაკუთრებით შვეიცარიის დიდი და ზემო იტალიის ტბები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთების არსებობასა და მოსახლეობის ცხოვრებაში.

ტბების ნაპირები მჭიდროდაა დასახლებული და დაფარულია ბაღებითა და ზვრებით.

ალპების ტბებიდან აღსანიშნავია: ლაგო-მაჯორემ კომო, გარდა, ლუგანო, ფირვალდშტეტი, ბრიენცი.

მყინვარები

ყველაზე დიდი მყინვარები ალპების მათალმთიან ნაწილებში, თოვლის ხაზის ზემოთ ვრცელდება.

გამყინვარების მძლავრი ადგილებია:

1. ფინსტერაარჰორნის,
2. მონტე-როზა-მატერჰორნის,
3. მონბლანისა
4. მაღალი ტაუერნის მასივები.

ალპების ყველაზე გრძელი და ფართობით უდიდესი მყინვარია ***ალეჩის მყინვარი.***

ორგანული სამყარო

ალპების ფლორა არცთუ ისე მდიდარი და თავისებურია.

ალპების ფლორის შედარებითი სიღარიბე და ნაკლები ორიგინალობა მძლავრი მეოთხეული გამყინვარებით აიხსნება, რომელიც თითქმის მთლიანად ფარავდა მთიანეთს.

ალპების „დაპყრობა“ თანამედროვე მცენარეული საფარის მიერ მხოლოდ უკანასკნელი გამყინვარების დამთავრების შემდეგ დაიწყო.

ალპებში მცენარეულობის მთავარი ტიპებისა და ფორმაციათა ჯგუფების გავრცელება, უპირველეს ყოვლისა, ვერტიკალური ზონალობის კანონს ემორჩილება.

ორგანული სამყარო

საგრძნობლად განსხვავდება ალპების ჩრდილო და სამხრეთი კალთებისა და აგრეთვე სხვადასხვა რაიონის ფლორა.

გარდა ამისა, თითოეულ რაიონში სხვადასხვა ექსპოზიციის კალთების მცენარეებიც განსხვავებულია.

მთლიანობაში ალპებში გვხვდება მცენარეთა

4500 სახეობა, რომელთაგან 650 ყვავილოვანი მცენარეა.

ალპებში ცხოველთა სამყარო მრავალფეროვანია. ფაუნის წარმომადგენლები შეგუებული არიან გარდამავალ ადგილებსა და ექსტრემალურ პირობებს.

ალპები საერთაშორისო მთამსვლელობის, თხილამურებით სრიალისა და ტურიზმის არეალია.

ტურიზმი

- მთამსვლელობას, ე.ი. ალპინიზმს საფუძველი ჩაეყარა სწორედ ალპებში, როდესაც მონბლანზე ასვლა განხორციელდა.
- ალპინიზმს იმთავითვე ორი მიმართულება მიეცა — წმინდა სპორტული და მეცნიერული, გამოყენებითი.
- ჟაკ ბალმისა და მიშელ-გაბრიელ პაკარის მონბლანზე ასვლის შემდეგ ალპინიზმი სწრაფად განვითარდა, შეიქმნა მთასვლელთა საგანგებო გაერთიანებები — ალპური კლუბები.



ალპების გარემოსდაცვითი პრობლემები

ალპები დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე მონახულებადი მთიანი რეგიონია.

ალპური ქვეყნების ეკონომიკა დიდწილად ტურიზმსა და სპორტზეა დაფუძნებული. ეს გარკვეულ ზიანს აყენებს ალპურ ბუნებას, რადგან მრავალი ტურისტი, მონადირე და სპორტსმენი, ნებსით თუ უნებლიეთ, აბინძურებს გარემოს და არღვევს ეკოსისტემას, ხოლო რეკრეაციული მშენებლობა და ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება იწვევს თვალწარმტაცი ლანდშაფტების დაკარგვას და ნეგატიური ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესების (ეროზია, ზვავები და ა.შ.) გაძლიერებას.

როგორ შეიძლება მოგვარდეს ალპების გარემოსდაცვითი პრობლემები

ბოლო დროს ალპურ ქვეყნებში სერიოზული პროცესები მიმდინარეობს ბუნებრივი ლანდშაფტების დასაცავად, ტყეებისა და ველური ბუნების აღსადგენად. ამ მიზნით შეიქმნა ნაკრძალები და ეროვნული პარკები, რომელთაგან ყველაზე დიდია გრან პარადიზო იტალიაში.

ალპური ქვეყნები დიდ ძალისხმევას დებენ ზიანის შესაჩერებლად, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ალპურ ქვეყნებს შორის კოორდინაცია: ქვეყნები ერთად მუშაობენ, ეძებენ პრობლემებს და სწრაფად აგვარებენ მათ. ამას ემატება კანონები ალპების დაცვისა და კონსერვაციის შესახებ.

როგორ შეიძლება მოგვარდეს ალპების გარემოსდაცვითი პრობლემები

მეორე რიგში, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, რადგან ეს ზიანს აყენებს მთების ეკოლოგიას.

ალპურ ქვეყნებს მინერალური ნედლეულისა და მტკნარი წყლის დიდი მარაგი აქვთ.

სასარგებლო წიაღისეული კონცენტრირებულია აღმოსავლეთ ალპებში და დაკავშირებულია ცენტრალური კრისტალური ზონის ქანებთან. ეს არის რკინისა და სპილენძის მადნებისა და მაგნეზიტის საბადო ავსტრიაში.

აღმოსავლეთ ალპებში, დანალექ ქანებში ასევე გვხვდება მურა ნახშირისა და მარილის მცირე საბადოები.

ალპების ათვისება

ალპებში დასახლებული პუნქტებიდან აღსანიშნავია შვეიცარიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კურორტი ცერმატი, სადაც განსაკუთრებით განვითარებულია თხილამურებით სრიალი.

ცნობილი სამთო-სათხილამურო კურორტია დავოსი, რომელიც ზღვის დონიდან 1560 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

არაერთი საყოველთაოდ ცნობილი კურორტია თავმოყრილი იტალიის ალპებში.

ალპების ათვისება

ალპების უსწორმასწორო და ციცაბო ფერდობები წარმოადგენდა ტრანსპორტიზაცის დიდი ხნის ბარიერს.

ალპებში ასობით უღელტეხილია, რომელთა ქვეშ გაყვანილია არაერთი სარკინიგზო და საავტომობილო გზა და გვირაბი.

შვეიცარიის ალპებში აღსანიშნავია: სიმპლონის გვირაბი, ალბულის გვირაბი, გოთარდის საბაზო გვირაბი და გოტარდის გვირაბი.